



საგადასახადო სიახლეები

აგვისტო, 2023



დამტკიცდა ახალი სიტუაციური სახელმძღვანელოები

საიმპორტო საქონელზე გრანტის სტატუსის მინიჭება N2552

ფაქტობრივი გარემოები

- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის N365 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მეწარმე სუბიექტს, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა პროგრამის ბენეფიციარის სტატუსი, სააგენტოს (სსიპ „აწარმოე საქართველოში“) მიერ გამოეყო დაფინანსება (გრანტი).
- საგრანტო ხელშეკრულების თანახმად, გრანტის მიმღებმა საწარმომ, უნდა შეიძინოს 15 000 ლარის ღირებულების დანადგარი. პროექტის განსახორციელებლად გრანტის თანხა შეადგენს 11 000 ლარს, ხოლო თანამონაწილეობის თანხა - 4 000 ლარს. გრანტის მიმღებმა პირმა თანადაფინანსებით საზღვარგარეთ შეიძინა საქონელი და მოახდინა მისი იმპორტი. ოპერაცია განხორციელებულია გრანტის მიღებისათვის განსაზღვრული ბენეფიციარის თანამონაწილეობის ხელშეკრულების პირობების დაცვით.
- მეწარმე სუბიექტმა მოითხოვა საიმპორტო საქონლისათვის გრანტის სტატუსის მინიჭება.

შეფასება

- „გრანტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის თანახმად, გრანტად ითვლება ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის-„აწარმოე საქართველოში“ მიერ „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის N365 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის ფარგლებში მეწარმე სუბიექტზე/მეწარმე სუბიექტთა ჯგუფზე გაცემული სახსრები ამ დადგენილების მოქმედების ვადის განმავლობაში. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის N365 დადგენილების 12⁵ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ბიზნესის განხორციელების ადგილის შესაბამისად პროგრამაში თანამონაწილეობის წილი პროგრამის ბენეფიციარისთვის განისაზღვრება გრანტის თანხის არანაკლებ 20 (ოცი) პროცენტით.
- იმის გათვალისწინებით, რომ:
 - პროგრამის ბენეფიციარის მიერ დაცულია პროგრამის თანამონაწილეობის წილი;
 - სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის ფარგლებში მეწარმე სუბიექტზე/მეწარმე სუბიექტთა ჯგუფზე გაცემული სახსრები ითვლება გრანტად, საქონლისათვის გრანტის სტატუსის მინიჭება კანონშესაბამისია.

დონისძიებები

მეწარმე სუბიექტის მოთხოვნა საიმპორტო საქონლისათვის გრანტის სტატუსის მინიჭების თაობაზე მართლზომიერია.

შენიშვნა: სიტუაციური სახელმძღვანელო ვრცელდება საქონელზე, რომელიც დაფინანსებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის N365 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

აქციზური მარკებით საქონლის სავალდებულო ნიშანდების არაჯეროვანი შესრულება N2553

ფაქტობრივი გარემოებები

- **ვარიანტი 1** დათვალელების პროცედურის ფარგლებში გამოვლინდა, რომ პირის მიერ შემოსავლების სამსახურში არ იყო წარდგენილი ინფორმაცია ლუდზე დაკრული აქციზური მარკების თაობაზე.
- **ვარიანტი 2** დათვალელების პროცედურის ფარგლებში გამოვლინდა, რომ ლუდზე დაკრული აქციზური მარკების შესახებ ინფორმაცია, კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში წარდგენილი იყო არასწორად (ლუდზე დაკრული მარკა აღმოჩნდა სხვა პროდუქციისთვის განკუთვნილი).

შეფასება

- „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 81 2 მუხლის მე 5 პუნქტის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, მატერიალური ფორმის მარკებით საქონლის სავალდებულო ნიშანდების/მარკირების განხორციელებისას, მეწარმე სუბიექტისა და ფიზიკური პირის მოვალეობებია: მატერიალური ფორმის მარკების მიღების შემდეგ, შეფუთვის ფორმების მიხედვით, მათზე დატანილი კოდის ნუმერაციის შესაბამისად, უზრუნველყოს მოძრაობის სტატუსის (მიღებულია, უარყოფილია, დაკარგულია) მონაცემთა ბაზაში ასახვა (გააქტიურება), აგრეთვე, დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, შემოსავლების სამსახურს წარუდგინოს ინფორმაცია იმ პროდუქციის თაობაზე, რომლის ნიშანდებზე მონაცემთა ბაზაში ასახვა (გააქტიურდა) არასწორი ინფორმაცია.
- ორივე შემთხვევაში პირი ვალდებულია შემოსავლების სამსახურს წარუდგინოს გამოყენებული მარკების შესახებ ინფორმაცია (მათ შორის, შესაბამისი ვადების და მონაცემების სისწორის დაცვით).

დონისძიებები

ორივე შემთხვევაში პირს სანქციის სახით შეეფარდება გაფრთხილება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ქმედება ჩადენილია განმეორებით. ამასთან, განმეორებით შემთხვევაზე გამოიყენება სსკ ის 291 ე მუხლით გათვალისწინებული სანქცია.

სტაჟიორის შესახებ ინფორმაციის ასახვა დაქირავებულ პირთა რეესტრში N2551

ფაქტობრივი გარემოებები

- საწარმოს დასაქმებული ყავს სტაჟიორი.
- ვარიანტი I:** სტაჟიორი სამუშაოს ასრულებს ანაზღაურების სანაცვლოდ.
- ვარიანტი II:** სტაჟიორი სამუშაოს ასრულებს ანაზღაურების გარეშე.
- საწარმო სტაჟიორს არ განიხილავს დაქირავებულ თანამშრომლად და არ ასახავს ინფორმაცია დაქირავებულ პირთა რეესტრში.

შეფასება

- სსკ-ის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის "ა" პუნქტის, მე-2 და მე-3 ნაწილის თანახმად
 - დაქირავებით მუშაობად ითვლება ფიზიკური პირის მიერ ვალდებულების შესრულება იმ ურთიერთობათა ფარგლებში, რომლებიც რეგულირდება საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის შრომის კანონმდებლობით.
 - დაქირავებით მომუშავე ფიზიკური პირი ამ კოდექსის მიზნებისათვის იწოდება დაქირავებულად, პირი, რომელიც ანაზღაურებს ასეთი ფიზიკური პირის მიერ შესრულებულ სამუშაოს, – დამქირავებლად, ხოლო ასეთი ანაზღაურება – ხელფასად.
 - ამ მუხლით გათვალისწინებული დაქირავებულ პირთა შესახებ ინფორმაცია დამქირავებელმა უნდა ასახოს დაქირავებულ პირთა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს შემოსავლების სამსახური.
 - სსკ-ის 101-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლებს განეკუთვნება ფიზიკური პირის მიერ დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული ნებისმიერი საზღაური ან სარგებელი, მათ შორის, წინა სამუშაო ადგილიდან პენსიის ან სხვა სახით მიღებული შემოსავალი, ან შემოსავალი მომავალი სამუშაო ადგილიდან.
 - საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ - საქართველოს შრომის კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად, სტაჟიორი არის ფიზიკური პირი, რომელიც დამსაქმებლისთვის ასრულებს გარკვეულ სამუშაოს ანაზღაურების სანაცვლოდ ან მის გარეშე, კვალიფიკაციის ასამაღლებლად, პროფესიული ცოდნის, უნარის ან პრაქტიკული გამოცდილების მისაღებად.
- **ვარიანტი I:** იმის გათვალისწინებით, რომ სტაჟიორი სამუშაოს ასრულებს ანაზღაურების სანაცვლოდ, დაქირავებულ პირთა რეესტრის წარმოების მიზნებისათვის განიხილება დაქირავებულ თანამშრომლად
- **ვარიანტი II:** იმის გათვალისწინებით, რომ სტაჟიორი სამუშაოს ასრულებს ანაზღაურების გარეშე, დაქირავებულ პირთა რეესტრის წარმოების მიზნებისათვის არ განიხილება დაქირავებულ თანამშრომლად

დონისძიებები

- **ვარიანტი I:** საწარმოს დაჯარიმდება სსკ-ის 288⁵-ე მუხლის მიხედვით დაქირავებულ პირთა რეესტრში დაქირავებულ პირთა შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობის გამო.
- **ვარიანტი II:** საწარმოს ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და დამატებით საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ ხდება.

ცვლილებები ფინანსთა მინისტრის ბრძანება N996-ში

გაცვლის (ბარტერული) ოპერაციების შემთხვევაში დღგ-ით დასაბეგრი თანხის საბაზრო ფასით განსაზღვრა

მიმდინარე წლის 15 აგვისტოს გამოქვეყნდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანებაში ცვლილება.

ცვლილების მიხედვით ინსტრუქციას დაემატა 48³ მუხლი, რომლის მიხედვით, თუ გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის ფარგლებში ხორციელდება უძრავი ნივთის მიწოდება, ოპერაციის თითოეული მხარისთვის დღგ-ით დასაბეგრი თანხა განისაზღვრება მისაღები საქონლის/ მომსახურების საბაზრო ფასით დღგ-ის გარეშე.

მაგალითი 1. საწარმოსა და ფიზიკურ პირს შორის გაფორმდა გაცვლის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით, ფიზიკური პირი საწარმოს საკუთრებაში გადასცემს მიწის ნაკვეთს, ხოლო საწარმოდ, ამავე მიწის ნაკვეთზე საწარმომ უნდა ააშენოს შენობა-ნაგებობა, რომელშიც განთავსებული ფართების ნაწილს გადასცემს ფიზიკურ პირის საკუთრებაში. მიწის ნაკვეთის საბაზრო ფასია 236 000 ლარი.

შეფასება:

იმის გათვალისწინებით, რომ ადგილი აქვს უძრავი ნივთის მიწოდებას, საწარმოს მიერ **ფიზიკური პირისათვის** ფართების მიწოდების დღგ-ით დასაბეგრი თანხა უნდა განისაზღვროს მიწის ნაკვეთის საბაზრო ფასით დღგ-ის გარეშე, რაც შეადგენს 200 000 ლარს (236 000 / 1,18).“.

შენიშვნა: ცვლილების დოკუმენტში ნათლად არ იკითხება რას გულისხმობს საბაზრო ფასი, კერძოდ ხელშეკრულების გაფორმების მომენტში, თუ უშუალოდ მიწოდების მომენტში არსებული საბაზრო ფასი. მიუხედავად ამისა, ბარტერში მონაწილე მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ ხელშეკრულების გაფორმების მომენტში არსებული საბაზრო ფასი.

დოკუმენტის სრული ვერსია იხილეთ [ბმულზე](#).

აქციზის დეკლარაციის ცვლილება და დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის წესი

მიმდინარე წლის 17 აგვისტოს გამოქვეყნდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანებაში ცვლილება.

ცვლილების მიხედვით:

- არსებულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოვიდა აქციზის დეკლარაციის „განაყოფი III“, „განაყოფი IV“, „განაყოფი V“ და „განაყოფი VI“;
- სსკ-ის 192-ე მუხლის მე-7 ნაწილის მიზნებისათვის, აქციზით დასაბეგრი ოპერაციის განუხორციელებლობის შემთხვევაში, მატერიალური ფორმის აქციზური მარკების დაბრუნების 6-თვიანი ვადის ათვლა ხორციელდება გადასახადის გადამხდელზე 2023 წლის 18 აპრილის შემდგომ გაცემულ აქციზურ მარკებთან მიმართებაში;
- 2912 11 000 00 კოდში მითითებულ საქონელზე სსკ-ის 194-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით აქციზისაგან გათავისუფლების წესი გავრცელდება 2023 წლის 18 აპრილის შემდგომ განხორციელებულ იმპორტთან მიმართებაში.

გარდა ამისა, აღნიშნული ბრძანების 46-ე მუხლის (დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია) მე-4 პუნქტის რედაქცია შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

- ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების ჯამური თანხის განსაზღვრისას, არ გაითვალისწინება ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირის მიერ ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი, აგრეთვე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დღგ-ისგან გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციები.

მაგალითი 1.

პირობა:

პირი ახორციელებს ავტომობილების ტექნიკურ მომსახურებას, რაზეც მინიჭებული აქვს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი. ამასთანავე, პირი დამატებით ეწევა სამშენებლო-სარემონტო საქმიანობას.

ვარიანტი I : პირმა უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განახორციელა, ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის ფარგლებში, 103 000 ლარის მომსახურების გაწევა, ხოლო დამატებით, ნებადართული საქმიანობის ფარგლებში – 58 000 ლარის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოს შესრულება.

ვარიანტი II: პირმა უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განახორციელა, ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის ფარგლებში, 63 000 ლარის მომსახურების გაწევა, ხოლო დამატებითი საქმიანობის ფარგლებში – 108 000 ლარის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოს შესრულება.

შეფასება:

პირველ ვარიანტში: ვინაიდან ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირისთვის, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულების მიზნებისათვის, დღგ-ით დასაბეგრი საქონლის/მომსახურების მიწოდების ოპერაციების ჯამური თანხის განსაზღვრისას ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი არ გაითვალისწინება, პირს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება არ წარმოეშობა.

მე-2 ვარიანტში: ვინაიდან ნებადართული დამატებითი საქმიანობის ნაწილში პირს წარმოეშვა დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება, იგი ვალდებულია გატარდეს დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციაში. ამასთან, ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი ექვემდებარება გაუქმებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დოკუმენტის სრული ვერსია იხილეთ [ბმულზე](#).

ადგილობრივი დამსაქმებლის მიერ საქართველოში დასაქმებული შრომითი იმიგრანტის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის წესი

2023 წლის 1 სექტემბრიდან ძალაში შედის მთავრობის დადგენილება, რომლის მიხედვითაც დამსაქმებელს რომელსაც უცხოელი დასაქმებულები ჰყავს (უცხო ქვეყნის მოქალაქეების) აქვთ ვალდებულება დარეგისტრირდნენ შესაბამის ინტერნეტ-პორტალზე და შეავსონ მონაცემები თითოეული დასაქმებულის შესახებ.

აღნიშნულს არეგულირებს საქართველოს მთავრობის დადგენილება №291, რომელშიც მოცემულია შესაბამისი დანართები. მონაცემების შევსებასთან დაკავშირებულ საკითხებს ასევე განმარტავს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო“ (<https://labourmigration.moh.gov.ge/#faq>):

შრომითი იმიგრანტის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში რეგისტრაციის წესი და ფორმა რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2023 წლის 8 აგვისტოს N 291 დადგენილებით, რომლის თანახმადაც:

- ადგილობრივი დამსაქმებელი ვალდებულია, შრომით იმიგრანტთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმებიდან, მაქსიმუმ 30 კალენდარულ დღეში, განახორციელოს მასთან დასაქმებული შრომითი იმიგრანტის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაცია;
- ადგილობრივი დამსაქმებელი ასევე ვალდებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემთა ერთიან ბაზაში ასახოს ინფორმაცია მასთან დასაქმებულ უცხო ქვეყნის მოქალაქესთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის ან მისი მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე.

ადგილობრივი დამსაქმებელი შრომითი იმიგრანტის სამინისტროს მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მიზნით, ადგილობრივი დამსაქმებელი რეგისტრირდება და მასთან დასაქმებული შრომითი იმიგრანტის რეგისტრაციას (ასევე, უკვე რეგისტრირებულ შრომით იმიგრანტთან მიმართებაში, შრომით იმიგრანტთან გაფორმებული ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის და ვადის გაგრძელების თაობაზე ინფორმაციის წარდგენას) ახორციელებს ელექტრონული ფორმით, შემდეგ მისამართზე: labourmigration.moh.gov.ge

ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომითი მოწყობისა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელების უფლება აქვს საქართველოში კანონიერად მყოფ უცხოელს.

აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს კანონმდებლობით განსაზღვრული პასუხისმგებლობის ნორმების დაკისრებას.

მნიშვნელოვანია გაითვალისწინოთ, რომ 2023 წლის 1 სექტემბრიდან, უცხო ქვეყნის მოქალაქეზე, საიმიგრაციო ვიზისა (D1 კატეგორია) და შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემა მოხდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის საფუძველზე.

დოკუმენტის სრული ვერსია იხილეთ [ბმულზე](#).

პუბლიკაციაში წარმოდგენილი საკითხები არის მხოლოდ ინფორმაციული ხასიათის და გამიზნულია ზოგადი მიმოხილვისათვის. არ არის რეკომენდებული აღნიშნულ პუბლიკაციაზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღება ჩვენს წარმომადგენელთან კონსულტაციის გარეშე!

ჩვენი საგადასახადო სპეციალისტები მუდამ მზად არიან განგიმარტონ და მოგაწოდონ დამატებითი ინფორმაცია ზემოთ მოცემულ ცვლილებებზე!

გელა მდებრიშვილი

მმართველი პარტნიორი

TEL: +995 595 333 853

E-Mail: gela.mghebrishvili@nexia.ge

დავით მამრიკიშვილი

მმართველი პარტნიორი / საგადასახადო მიმართულების დირექტორი

TEL: +995 591 505 009

E-Mail: david.mamrikishvili@nexia.ge